როგორ გავაუმჯობესოთ მშობლებთან კომუნიკაცია 63-ე საჯარო სკოლის, მე - 8 კლასის მაგალითზე

ნათია თამარაშვილი

თამარ ჩილინგარაშვილი

ნინო მოურავიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების პროგრამის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

(სკოლის მიმართულება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

1.2 განაცხადი

„როგორც სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული და ციტირებული წესების შესაბამისად.“

ნათია თამარაშვილი

თამარ ჩილინგარაშვილი

ნინო მოურავიძე

1.3 აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელიც განხორციელდა განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ, სსიპ ქალაქ თბილისის №63 საჯარო სკოლაში. საკვლევი თემა „როგორ გავაუმჯობესოთ მშობლებთან კომუნიკაცია 63 - ე საჯარო სკოლის, მე-8 კლასის მაგალითზე“, შეირჩა სკოლის მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან დისკუსიის საფუძველზე. კვლევა დაიწყო 2015 წლის ნოემბერში და დასრულდა 2016 წლის ივნისში.

დიაგნოსტირების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესაბამისად, განხორციელდა ინტერვენციები, რომელთა მიზანი იყო მომხდარიყო მშობელთათვის მრავალფეროვანი საკომუნიკაციო საშუალებების შეთავაზება, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების, ასევე პირადი შეხვედრების ფორმატის გამოყენებით. მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ საკომუნიკაციო გზების გამარტივებასთან ერთად, მოგვეხდინა მშობელთა ინფორმირებულობის ხელშეწყობა მათთვის აქტუალურ საკითხებზე და შეგვეთავაზებინა სკოლასა და მშობლებს შორის თანამშრომლობის განსხვავებული ფორმატი: სადისკუსიო შეხვედრები მშობლებთან, კლასგარეშე აქტივობები და სასკოლო ღონისძიებები.

ინტერვენციების შეფასების ეტაპზე გამოკვეთა ტენდენციები, რომ მშობლებისათვის შეთავაზებული ინიციატივები ახალი და საინტერესო გამოცდილება აღმოჩნდა. მოხდა მათთვის კომუნიკაციის გზების გამარტივება, საჭირო საკითხებზე მეტი ინფორმაციის მიღება, მათი შესაძლებლობების და პასუხისმგებლობების გადაფასება, ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით და ასევე სხვადასხვა საკითხის ოპტიმალურად გადასაჭრელად სადისკუსიო შეხვედრების აუცილებლობის განსაზღვრა. კლასის ხელმძღვანელსა და მშობლებს შორის გაჩნდა ინიციატივა, რომ შემდგომში მოხდეს სადისკუსიო შეხვედრებისათვის და სასკოლო ღონისძიებებისათვის სისტემატიზირებული ფორმის მიცემა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მშობელი, მოსწავლე, სკოლა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, დისკუსია, მშობელთა ჩართულობა, პრაქტიკული კვლევა.

Abstract

The below work is action research, which was conducted by students of Education Administration as their master's thesis in 63 Public School of Tbilisi. Based on discussion with school administration and teachers, the research topic was chosen as follows: "How to improve communication with parents on 8th graders example in school #63". The research started in November, 2015 and ended in June, 2016.

After diagnosing the main issue, possible interventions were discussed and chosen. The main purpose of interventions was to give parents diverse means of communication and to use information technologies, as well as face to face communication. Besides making communication easier, it was important to facilitate informing parents about events that were interesting for them and also to offer them different format of collaboration: which include parent discussion meetings, out of class activities and school events.

During evaluation of interventions, it was discovered that initiatives offered to parents were new and interesting experience for them. The ways of communication became easy and simple for them and they received lots of necessary information. Also, all these events made them re-evaluate their responsibilities or opportunities. They realized the essence of discussion meetings for solving problems, communicating better and becoming more efficient. Both, teachers and parents expressed their desire to continue carrying out these kind of discussion meetings and implement this sort of communication as part of regular school life.

Key words: parent, student, school, communication, partnership/coordination, discussion, parent involvement, action research.

1.4 მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში აღმოჩენილი მხარდაჭერისათვის და კვლევის მსვლელობისას მიღებული რეკომენდაციებისათვის, მადლობას ვუხდით ჩვენს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ თამარ ბრეგვაძეს.

კვლევის პროცესში გაწეული თანაშრომლობისათვის და თავისუფალი სამუშაო გარემოს შექმნისათვის, მადლობას ვუხდით სკოლის ადმინისტრაციას, კვლევაში ჩართულ მასწავლებლებს, მე - 8 კლასის მოსწავლეებს და მშობლებს.

ინტერვენიების განხორციელების ეტაპზე გაწეული დახმარებისთვის, მადლობას ვუხდით განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრაურის სტუდენტს, მაია ჯიქურაშვილს, რომელმაც მშობლების ბლოგისათვის, საინტერესო სარეკომენაციო სტატია მოამზადა.

და ბოლოს, მადლობას ვუხდით ერთმანეთს თანადგომისთვის და სამუშაოსადმი გამოვლენილი მაღალი პასუხისმგებლობისათვის.